

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკი აცხადებს ვაკანსიას კოლექციის კურატორის პოზიციაზე.

კურატორი, პასუხს აგებს კოლექციის სიცოცხლისუნარიანობაზე, დაუბინძურებლობაზე და იდენტობაზე. მისი ძირითადი მიზანია კულტურის ან კულტურათა ჯგუფის კოლექციის კონსერვაცია - ნიმუშების რეგენერაცია/გამრავლება, შესწავლა-დახასიათება, შეფასება და შესაბამისი მონაცემთა ბაზების წარმოება.

ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პიროვნული თვისებები:

- დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, სასურველია აგრარული ან საბუნებისმეტყველო მიმართულებით;
- საჭიროა მცენარეთა მოყვანა-გამრავლების სპეციფიკის ცოდნა;
- სავალდებულოა კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა;
- პრიორიტეტულია ინგლისური ენის ცოდნა;
- დისციპლინის, წესებისა და პროცედურების დაცვა;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- ინფორმაციის ანალიზის და გადაცემის უნარი;
- დამოუკიდებლად და გუნდურად მუშაობის უნარები;
- დროის ეფექტურად მართვის უნარი.

სამუშაო გრაფიკი:

სრული (კვირაში 40 სთ) ან ნახევარი განაკვეთი (კვირაში 20 სთ) .

ანაზღაურება განისაზღვრება ინდივიდუალური მოლაპარაკების საფუძველზე.

აპლიკაციის პროცესი:

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა გააგზავნონ რეზიუმე (CV) ელ-ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: vacancy@agruni.edu.ge

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება CV-ის მიხედვით, მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება.

გთხოვთ, წერილის სათაურის ველში მიუთითოთ „კოლექციის კურატორი“. განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2020 წლის 15 ოქტომბერი**.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #240;

ელ-ფოსტა: vacancy@agruni.edu.ge

ვებ-გვერდი: www.agruni.edu.ge